საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ქომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 12 თებერვალი, 1942 წ. № 36 (6352). ფასი 15 კაპ.

## საბჭოთა ხალხის სიამაყე

სამშობლოსათვის წარმოებული ბრძოლების ყოველი დღე ახალ გმირებს წარმოშობს. გერმანელ დამპყრობლებთან დიადი ბრძოლის ცეცხლში საბჭოთა ხალხის შვილები გამბედაობის, მამაცობის, გმირობის სასწაულებს გვიჩვენებენ. უდიდესი თავგანწირვით იბრძვიან საბჭოთა მეომრები დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ, არ იშურებენ არც თავიანთ სისხლს, არც თავიანთ სიცოცხლეს სამხედრო მოვალეობის გულისათვის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის. უდიდესი სიყვარულით, დიდი სიამაყით ადევნებს თვალს ჩვენი ქვეყანა იმ საოცარო საქმეებს, რასაც ბევრი შვილები და ქალიშვილები სჩადიან, რომლებიც ბრძოლის ველზე იარაღით ხელში იცავენ სამშობლოს ღირსებასა და თავისუფლებას.

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სამამულო ომის გმირთა ახალი პლეადის დაჯილდოების შესახებ. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 14 მეომარს: კაპიტან მ. ე. ასტაშკინს, ლეიტენანტ ი. გ. ბრეუსს, უფროს ლეიტენანტ ა. ა. ელოხინს, ლეიტენანტ ი. გ. კოროლიოვს, უფროს პოლიტხელს ს. ა. კუნიცას, უფროს ლეიტენანტ ა. ა. მალანოვს, უფროს ლეიტენანტ პ. ვ. პოლოსს, კაპიტან ი. ბ. რიკაჩევს, ლეიტენანტ ვ. ა. სეროგოდსკის, უმცროს ლეიტენანტ ვ. პ. სიმონოვს, ლეიტენანტ ვ. ტ. ტოპოლსკის, უფროს ლეიტენანტ ა. ა. ჩერევატენკოს, მაიორ ლ. ლ. შესტაკოვს და ლეიტენანტ მ. ი. შილოვს. მრავალი ასეული მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ჩვენს ხალხს უყვარს თავისი გმირები და პატივისცემით ეკიდება მათ. მათი მაგალითი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მიუწოდებს ყველას, ვისაც მკერდში საბჭოთა პატრიოტის გული უცემს. მათი სახელოვანი საქმეები თაობიდან თაობას გადაეცემა. ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. მ. ი. შილოვის მამაცური სახე. გამანადგურებელმა მფრინავმა ამხ. შილოვმა სამამულო ომის დროის განმავლობაში 164 საბრძოლო გაფრენა მოახერხა. სარდლობამ მას დაავალა გაპყოლოდა იმ რაზმს, რომელიც მტრის ძალებზე იერიშის მისატანად მიდიოდა. როდესაც მიზანს უახლოვდებოდა, ლეიტენანტმა შილოვმა ჰაერში შენიშნა ფაშისტთა 5 ავიაგამანადგურებელი. მათ შეეძლოთ ხელი შეეშალათ რაზმის მფრ დავალების შესრულებისათვის. მიხეილ შილოვმა გაბედულად გაუმარდა ბრძოლა მტრის ავიაგამანადგურებლებს და თავისკენ მიიპყრო მთელი მათი ყურადღება, რითაც საშუალება მისცა თავის ამხანაგებს შეესრულებინათ სარდლობის უაღრესად პასუხსაგები ბრძანება. ამ ბრძოლაში ამხ. შილოვი მამაცთა სიკვდილით დაიღუპა.

ჩვენი გმირები უკვდავ სახელს იხვეჭენ თავიანთი საგმირო საქმეებით. ხალხს გულში აქვს აღბეჭდილი გმირის სახე, იგი სთხოვს მასზე ლეგენდებს და არასოდეს არ დაივიწყებს მას. გმირის სახელს დაარქმევს იგი თავის შვილებს, და ისინიც მამაცურად და გმირულად იბრძოლებენ ლენინ-სტალინის საქმისათვის.

სამშობლომ აღზარდა და სიყვარულით გამოზარდა გმირები. მან თავისი სუნთქვით გაათბო ისინი, გამოზარდა და მძლავრი, განიერი ფრთები მისცა. და ახლა ბრძოლის ველებზე ჩვენი გმირები უდიდეს საქმეს აკეთებენ თავიანთი დედა-სამშობლოსათვის. სამშობლო სიყვარულითა და იმედით შეჰყურებს მათ. სწორედ ამიტომ იზრდება ასე ჩვენი გმირების პლეადა, რომ მათ შეიწოვეს სამშობლოს წვენი, რომ მათი საგმირო საქმეების ნიადაგს წარმოადგენს დაუშრეტელი პატრიოტიზმი, უსაზღვრო ერთგულება ხალხისადმი, სამშობლოსადმი.

ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, სუვოროვის, კუტუზოვის სიდიადე მარტო ის კი არ იყო, რომ ისინი რუსეთის მიწა-წყლის გამოჩენილი მხედართმთავრები იყვნენ, ისინი გამოხატავდნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებებს: სიმამაცეს, უშიშრობას, სამხედრო უნარს, თავიანთი სამშობლოსადმი სიყვარულს, იმისათვის მზადყოფნას, რომ ყოველგვარი სიძნელე გადაელახათ გამარჯვების მოსაპოვებლად.

ცოცხალია ჩვენი წინაპრების დიდებული სული! ჩვენმა ადამიანებმა დედის რძესთან ერთად შეიწოვეს თავიანთ მამა-პაპათა სამხედრო მამაცობა. და სამშობლოს დაცვის იდეებით აღფრთოვანებულნი, საბჭოთა მეომრები მამაცობისა და გმირობის სასწაულებს ანდენენ.

საბჭოთა კავშირის გმირი უმცროსი ლეიტენანტი ვ. პ. სიმონოკი სამართლიანად ითვლება საუცხოო ნაღმტყორცნელად. ერთ-ერთ ბრძოლაში მან თავისი ნაღმსატყორცნების ცეცხლი იმგვარად წარმართა, რომ ჩაიშალა მტრის ყოველგვარი ცდა კონტრშეტევაზე გადმოსვლისა. მან გაანადგურა მტრის ნაწილის შტაბი, დააზიანა ტანკი, რომლის დახმარებითაც ფაშისტები შეტევაზე გადმოდიოდნენ, გაჰფანტა და მოსპო ქვეითი ჯარის კოლონა, რომელიც მტრის დასახმარებლად მოიჩქაროდა. ამხანაგი სიმონოკი თავდაცვით არ დაკმაყოფილდა და თავისი ასეულიდან შვიდჯერ გადავიდა შეტევაზე, რის შედეგადაც მტერს სერიოზული ზარალი მიაყენა. მეორე სოფელთან ბრძოლის დროს, კრიტიკულ მომენტში, როდესაც მტერმა გრიგალისებრი ცეცხლი გაუხსნა, ამხ. სიმონოკმა თავისი ასეული შეტევაზე წაიყვანა და შეძახილით „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ ეკვეთა მტერს. თავისი მეთაურის მამაცობით აღფრთოვანებულმა მებრძოლებმა ფაშისტები განდევნეს მათ მიერ დაკავებული ზღუდეებიდან.

„თავისი სამშობლოს დაცვის იდეამ, რისთვისაც ჩვენი ადამიანები იმობენ, უნდა წარმოშვას და ნამდვილად წარმოშობს კიდეც ჩვენს არმიაში გმირებს, რომლებიც წითელ არმიას ადიდებენ“. (სტალინი).

წითელი არმიის მეომრები თავიანთი საქმეებითა და სისხლით ადიდებენ საბჭოთა მიწა-წყლის ჯარს. ერთეულთა გმირობა მასების გმირობად იქცევა. ბრძოლის ქარცეცხლში იშვნენ პოლკები, ბრიგადები, დივიზიები, რომლებიც მასობრივ გმირობას განასახიერებენ. საუცხოო საქმეებით არის აღნიშნული ჩვენი გვარდიის კორპუსების, დივიზიებისა და ნაწილების საბრძოლო გზა. საბრძოლო შეტევითი სულისკვეთება ამოძრავებს მათს მოქმედებას. ისინი სასტიკ ყინვაში, დიდ თოვლში სძლევენ მტრის წინააღმდეგობას, წინ მიიწევენ და გერმანელი დამპყრობლებისაგან თავისუფლებენ ყოველ მტკაველ მშობლიურ მიწას. ნამობრივი საგმირო საქმეები ახასიათებს სამი ახალი სახელოვანი ნაწილის მოქმედებას, რომლებიც ახლა აღნიშნული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით: შინსახკომის ჯარების 26-ე მესაზღვრე რაზმისა, არმიის 265-ე საარტილერიო პოლკისა და 69-ე ავიაგამანადგურებელი პოლკისა.

სამშობლო მიესალმება სამამულო ომის სახელოვან გმირებს! ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელები სიამაყით აღივნებენ თვალს წითელი არმიის მეომართა საგმირო საქმეებს, თავდადებით სწევენ მათი გამარჯვების ბაზას თავიანთ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში. მთელი ჩვენი ქვეყანა ეხმარება ფრონტს მტრის განადგურებაში. მთელი ჩვენი დიადი სამშობლო, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხები ამაგრებენ ჩვენს არმიას, ჩვენს ფლოტს, ეხმარებიან მათ გერმანელ ფაშისტთა დამპყრობლური ურდოების განადგურებაში.

დიად, ჩვენ ვამაყობთ გმირი წითელი არმიის, მისი მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკთა საგმირო საქმეებით. ისინი წარმოადგენენ ჩვენი მუშების სიამაყეს, ვინაიდან გერმანელი კაპიტალისტებისაგან იცავენ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებს, ჩვენს შრომას. ისინი წარმოადგენენ ჩვენი კოლმეურნეების სიამაყეს, ვინაიდან საბჭოთა მეომრები ფაშისტ მემამულეთა ხელყოფისაგან იცავენ ჩვენს მიხეურებს და ჩვენს ნათელ ცხოვრებას. ისინი წარმოადგენენ ჩვენი ინტელიგენციის სიამაყეს, ვინაიდან საბჭოთა მეომრები მათ იცავენ ჰიტლერელ ვანდალებისაგან, რომლებიც ცდილობენ გერმანელ ოკუპანტთა მსახურებად გადააქციონ ჩვენი მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები. წითელი არმია სიამაყეა ჩვენი შვილებისა, ვინაიდან იგი იცავს ჩვენი საზოგადოების დღევანდელ სასიხარულო და ხვალინდელ გასხივოსნებულ დღეს.

წითელი არმიის მეომრები მთელი საბჭოთა ხალხის სიამაყეს წარმოადგენენ!

„პრავდის“ მოწინავე, 11/II.

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**წითელი არმიის ჯარის ნაწილების დაჯილდოების შესახებ**

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

**წითელი დროშის ორდენით**

1) შინსახკომის ჯარების 26-ე მესაზღვრე რაზმი,
2) არმიის 265-ე საარტილერიო პოლკი,
3) 69-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი.**
მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 10 თებერვალი.

## წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

**ლენინის ორდენით** — ლეიტენანტი ა. ვ. ალელიუხინი, კაპიტანი ვ. ი. ბორკოვსკი, ზემდეგი პ. რ. როვინსკი, პოლკოვნიკი ს. ი. სერებროვი, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორი ა. ფ. ხრენოვი და სხვები—სულ 40 კაცი.

**წითელი დროშის ორდენით** დაჯილდოებულია 291 კაცი;

**წითელი ვარსკვლავის ორდენით** — 545 კაცი;

**მედლით „მამაცობისათვის“** — 435 კაცი;

**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“** — 427 კაცი. (საკვლესი).

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 11 თებერვლის დილის ცნობა

10 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ამხ. ერასტოვის ნაწილის მებრძოლებმა (დასავლეთის ფრონტი) გერმანელებისაგან გაათავისუფლეს ორი დასახლებული პუნქტი და მტერს წაართვეს 60 ავტომობილი, 6 ქვემეხი, 14 ტყვიამფრქვევი, 33 მოტოციკლი და 11.400 შაშხანის ვაზნა.

ფრონტის სხვა უბანზე ჩვენმა მსროლელმა ნაწილმა გააფთრებულ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 4 ტანკი და 4 ქვემეხი, ხელიგდო 13 ტყვიამფრქვევი, 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 ავტომობილი, 50 ველოსიპედი, 12 საზიდარი საომარი მასალითა. და სხვა სამხედრო ქონებიფურთ. გერმანელებმა 400 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მიცალულთა სახით.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ცალკე უბნებზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა ერთი დღის ბრძოლებში დახოცეს მოწინააღმდეგის 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი, საბჭოთა არტილერისტებმა და მზვერავთა ჯგუფებმა მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, 6 ქვემეხი, 5 ფაზგეს ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი და დაანგრიეს 46 მიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მტერს მნიშვნელოვანი მაშველი ძალები მოუფიდა და შეიჭრა კონტრიერიში მოტანა ჩვენს ნაწილებზე. ჩვენი მებრძოლები მარჯვე სროლით შეჩერდნენ გერმანელებს, დიდი ზარალი მიაყენეს მტერს და უკუაგდეს. ბრძოლის ველზე 850 მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. ტყვედ წამოყვანილია 20 გერმანელი, მათ შორის მაიორი, 85-ე ქვეითი პოლკის პირველი ბატალიონის მეთაური.

* * *

მესანგრე წითელარმიელებმა—ამხ. ზოტოვმა, ეგოროვმა, კოზლოვმა და ეპიფანოვმა სოფელ ჰ...ათვის ბრძოლის დროს გერმანელთა ხამი ტანკი მოსპეს მარჯვედ ჩაწყობილი ნაღმებით.

* * *

სმოლენსკის ოლქის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანთა რაზმი ამხ. კ...ს მეთაურობით წარმატებით ბრძოლას ეწეოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. პარტიზანებმა ხიდი დააწვეს გზაზე, რომლითაც გერმანელებს საომარი მასალა დაჰქონდათ ფრონტისაკენ. ამის შედეგად მოძრაობა შეჩერდა ორი დღით. რამდენიმე დღის შემდეგ მამაცმა პატრიოტმა მებრძოლებმა ტრაქტზე მოსპეს მტრის ჟუტუქი მანქანა და მოჰკლეს გერმანელი გენერალი. პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა კოლონას, რომელიც თოვლისაგან სწრენდა გზას. პარტიზანებმა 4 გერმანელი უნტერ-ოფიცერი მოჰკლეს და გაათავისუფლეს ამ კოლონაში მომუშავე 25 ტყვე წითელარმიელი.

* * *

გერმანიის 262-ე დივიზიის 485-ე პოლკის მე-9 ასეულს ეფრეიტორმა ადამ რაინბარდტმა, რომელიც ტყვედ წამოიყვანეთ, განაცხადა: „ჩვენმა ასეულმა მარტო უკანასკნელ ბრძოლაში 36 ჯარისკაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ასეულში, სულ ბევრი, 20 კაცი დარჩა. მწყობრიდან გამოსულთა შორის, მოკლულთა და დაჭრილთა გარდა, ბევრია დამზარალი. კვება საძაგელია. განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნ პურის ნაკლებობას. უკანასკნელ ხანს დღეში, სულ ბევრი, 100-150 გრამი გვქონდეოდა... ჩვენი ასეულიდან 6 კაცი გაიქცა, რომელთაკ ამეამად დაეძებენ. ამთგან რიბარდ განს და ტრაიდს პირადად ვიცნობ. დანარჩენები სულ ახლა ხანს მოიკრბნენ რეზერვიდან და მათი გვარები არ მახსოვს“.

* * *

დასავლეთ ყაზანეთის ოლქის ურალისპირა რაიონში ფაშისტ სამამულო ომის დღეების განმავლობაში 209 ქალმა შეისწავლა ტრაქტორი და ტრაქტორისტის წოდება მიიღო. ამჟამად ტრაქტორისტების მოსამზადებელ კურსებზე კიდევ 231 ქალი სწავლობს.

### 11 თებერვლის საღამოს ცნობა

11 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები მტრის კონტრიერიშებს იგერიებდნენ, შეტევითს ბრძოლას განაგრძობდნენ და კვლავ წინ წაიწიეს.

10 თებერვლის განმავლობაში მოსპობილია მტრის 12 თვითმფრინავი. ჩვენ 8 თვითმფრინავი დაკარგეთ.

11 თებერვლის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

10 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს და დააზიანეს გერმანელთა 6 ტანკი, 20 ქვემეხი, 9 ჯავშნიანი მანქანა, 200 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, საომარი მასალით დატვირთული 60 საზიდარი, 15 საზენიტო-სატყვიამფრქვეული წერტილი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ ამოსწყვიტეს მტრის სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

გვარდიის იმ ნაწილის ერთ-ერთ ქვეგანყოფის წითელარმიელმა, რომელსაც ამხ. სიაზოვი მეთაურობს (დასავლეთის ფრონტი), მტრის ჯარის ნაწილს უკან დასახევი გზა გადაუჭრა და ხელი იგდო გერმანელთა 2 ტანკი, 4 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 2 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 6 ავტომანქანა. სურსათითა და სამხედრო ქონებით დატვირთული 100 საზიდარი და დიდძალი სხვა დაკლა. მტერმა მოკლულთა სახით 100-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა.

* * *

ჩვენმა საკავალერიო ნაწილმა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, მტერი გააქცია და ხელთ იგდო 7 ავტომანქანა, 3 ნაღმსატყორცნი, 5 ტყვიამფრქვეული, დიდძალი ავტომატი და შაშხანა.

* * *

გვარდიელთა ჯგუფმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი სოკოლოვი მეთაურობს, მტრის 7 მიწური საცეცხლე წერტილი ბლოკადა მოახდინა და გრანატების კონებით აფეთქა ეს წერტილი. მიწურ საცეცხლე წერტილში მყოფი ყველა ჰიტლერელი დაიღუპა, გვარდიელთა გაბედულმა მოქმედებამ უზრუნველყო ჩვენი მსროლელი ნაწილის წარმატებითი წინსვლა.

* * *

სერჟანტ იაკობ ზემზიულინის ქვემეხის გუნდმა ღამით გაშლილ საცეცხლე პოზიციაზე გადაიყვანა თავისი ქვემეხი და პირდაპირი დამიზნებით მოსპო მტრის რამდენიმე მიწური საცეცხლე წერტილი, ჩაანგრია 16 საცეცხლე წერტილი და აფეთქა საომარი მასალის საწყობი.

* * *

ლენინგრადის ოლქის პარტიზანულმა რაზმებმა იანვრის განმავლობაში, არასრული ცნობებით, 1.400 ჰიტლერელი ჯარისკაცი და 62 ოფიცერი დახოცეს. საბჭოთა პატრიოტებმა მტრის ზურგში აფეთქეს საომარი მასალის 8 საწყობი, რამდენიმე მატარებელი, მოსპეს გერმანელთა ერთი თვითმფრინავი, 8 ტანკი და ტანკეტი, 2 საზენიტო ქვემეხი, 147 ავტომანქანა, საომარი მასალით დატვირთული 2 სწეკარი მისაბმელებიანად, 2 რადიოსადგური და რამდენიმე ადგილას მოშალეს საველე კავშირგაბმულობის ხაზი.

* * *

გერმანიის 183-ე ქვეითი დივიზიის 351-ე პოლკის ტყვე ეფრეიტორმა, ფაშისტური პარტიის წევრმა ედუარდ ჰერბერტმა განაცხადა: „ჯარისკაცები სულიერად დაცემული არიან. გერმანიის არმიას დიდი ზარალი მოსდის. უკანასკნელი 3-4 დღის განმავლობაში ჩვენმა ასეულმა 110 კაცი დაჰკარგა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით. ამჟამად ასეულში 40-მდე ჯარისკაცი დარჩა. თბილი ტანსაცმელი დღემდეც არ მოუცია. გვეუბნებოდნენ, რომ გერმანიაში თბილ ნივთებს აგროვებენ, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი ფეიწგანს არაფერი არ მიუღია, ხელთათმანებიც კი არ მოუციათ“.

* * *

სტალინის ოლქის დაბა იამიდან უკან დახევისას გერმანელმა მხეცებმა ბეჭრი საბჭოთა მოქალაქე დახვრიტეს და აწამეს, ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დაბის მცხოვრებლებმა აქტი შეადგინეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოქალაქე მ. ს. შეპოტკოს ეზოში აღმოჩენილია გერმანელთა მიერ ხმეცურად ნაწამები ვ. პ. დიაჩენკოს, ფ. ე. კრავჩენკოს, ი. ფ. ივანენკოს, ი. ე. ოლეინიკის და ნ. პ. კრავჩენკოს გვამები. ჰიტლერელებს თავიანთი მსხვერპლთათვის დაუმახინჯებიათ ახი, დაუთხრიათ თვალები, ჩაუმტვრევიათ ქვედა ყბა. ერთ-ერთ გვამს ჩამტვრეული აქვს თავის ქალა, მკერდზე დანით მოყენებული ჭრილობის კვალი აჩნევია.

* * *

საფეიერო მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი ქარხანა, რომელიც შორეულ ზურგშია ევაკუირებული, ნაღმსატყორცნების გამოშვებაზე გადავიდა. მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც ახალი წარმოება აითვისეს, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებას. მეკედელი გორტანოვი ცვლაში 5 ნორმას იძლევა. ამხ. კომოსოვი, შპირევი, კორენევკინი—ორნახევარ ნორმას თითოეული. წითელმა არმიამ ქარხნისაგან დამატებით, პროგრამის გადაჭარბებით მიიღო ორი დივიზიისათვის საჭირო ნაღმსატყორცნები.

## ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ დ. რუზველტის დეპეშა მ. ი. კალინინისადმი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ დ. რუზველტის დაბადების დღის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა მილოცვის დეპეშა გაუგზავნა მას. მ. ი. კალინინმა ფრანკლინ დ. რუზველტისაგან შემდეგი სპასუხო დეპეშა მიიღო:

მის აღმატებულებას მიხეილ კალინინს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს,

მოსკოვი.

დიდად ვაფასებ ჩემი დაბადების დღის გამო თქვენს მოლოცვას. განსაკუთრებით მამხნევებს იგი, რადგან გამომდინარეობს იმ სახელმწიფოს მეთაურისაგან, რომელიც ასე წარმატებით და სახელოვნად ოგერიებს საერთო მტრის შემოსევას. ის სიმტკიცე და წარმატება, როგორითაც საბჭოთა კავშირის ხალხები უკუაქცევენ აგრესორთა ურდოებს, აღაფრთოვანებს სხვა ერებს, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძვიან. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენის მხრივ შემდეგშიც გაკეთებთ ყოველივეს, რაც ძალგვიძს, რათა ხელი შევუწყოთ აგრესიული ძალების დამარცხებას და დავეხმაროთ ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობიანობის დამყარებას.

ფრანკლინ დ. რუზველტი.

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და გმირობის გამოჩენისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭოთ და **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“** გადაეცეთ:

1. კაპიტან მიხეილ ეგორის-ძე **ასტაშკინს,**
2. ლეიტენანტ იაკობ გიორგის-ძე **ბრეუსს,**
3. უფროს ლეიტენანტ აგეი ალექსანდრეს-ძე **ელოხინს,**
4. ლეიტენანტ ივანე გიორგის-ძე **კოროლიოვს,**
5. უფროს პოლიტხელ სიმონ ანდრიას-ძე **კუნიცას,**
6. უფროს ლეიტენანტ ალექსი ალექსის-ძე **მალანოვს,**
7. უფროს ლეიტენანტ პეტრე ბარნაბის-ძე **პოლოზს,**
8. კაპიტან ოური ბორისის-ძე **რიკაჩევს,**
9. ლეიტენანტ ვასილ ალექსანდრეს-ძე **სეროგოდსკის,**
10. უმცროს ლეიტენანტ ვლადიმერ პოლიკარპეს-ძე **სიმონოკს,**
11. ლეიტენანტ ვიტალი ტიმოთეს-ძე **ტოპოლსკის,**
12. უფროს ლეიტენანტ ალექსი ტიხონის-ძე **ჩერევატენკოს,**
13. მაიორ ლევ ლევის-ძე **შესტაკოვს,**
14. ლეიტენანტ მიხეილ ილიას-ძე **შილოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი.**
**მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 10 თებერვალი.**

## საკვლესი უარჰყოფს

ჰავასის-ოფის სააგენტო, იმოწმებს რა სოფიიდან მიღებულ გადაცემას, ბორდოდან იუწყება, რომ საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე, ვითომ, სერიოზული ინციდენტი მოხდა. ამ ცნობით, ბათუმის რაიონში დაბანაკებული რამდენიმე საბჭოთა ბატალიონი ცდილობდა ვაქცეულთა სახით თურქეთის ტერიტორიაზე გადასულიყო, ამასთან არიან მოკლულნი, ხოლო 300-მდე დაჭრილი წითელარმიელი თურქეთის ტერიტორიაზე გადავიდა.

საკვლესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ჰავასის-ოფის ეს ცნობა, სოფიიდან გადმოცემული, თავიდან ბოლომდე უხეში და ტლანქი ჭორია, რაც პროვოკაციული მიზნებით არის შეთითხნილი თავის გერმანელ ფაშისტ ბატონ-პატრონთა დაკვეთით იმ სააგენტოს საშუალებით, რომელიც მხოლოდ სახელწოდებით არის საფრანგეთის საგენტო.

## ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეეხვდეთ წითელი არმიის XXIV წლისთავს

### სახელოვან დღესასწაულს ახალი გამარჯვებებით ხვდებიან

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი ახალი გამარჯვებებით ხვდება გმირი წითელი არმიის XXIV წლისთავს.

ამწყობი საამქროს კოლექტივმა იკისრა 23 თებერვლისათვის გეგმის ზეგით ერთი ორთქლმავალი გამოეშვა. უკვე წარმატებით მთავრდება ამ ორთქლმავლის რემონტი. მის გამოშვებას ამ დღეებში ვარაუდობენ და შემდეგ დამატებით მეორე ორთქლმავლის გამოშვებას კისრულობენ. ამ ორთქლმავლის რემონტზე წარმატებით მუშაობენ კომკავშირელები ამხ. შ. ციტაიშვილი, შ. ცხვედაძე, ლ. მანდიჩი, გ. აფხაზიშვილი. ისინი დავალებას 300 პროცენტით ასრულებენ. ყოველდღიურ გეგმებს 500 და მეტი პროცენტით ასრულებენ ამხ. ილ. ჭუმბურიძე, გ. ივანიძე, თ. ხუსტაპენკო, შ. ფაილოძე.

იანვარში სტალინის სახელობის ქარხნის ორასოვანთა რიგებს 16 კაცი შეემატა. მათ შორის არიან კომკავშირელი ხარატები ამხ. ი. კუდუსოვი, პ. ვოროპინოვი, გ. გასიტაშვილი, ნ. მახარაშვილი, შ. მანუკიანი, ვ. ტოკარევი. ეს ამხანაგები ყოველთვის აკეთებენ 200 პროცენტს.

ქარხნის კომკავშირელებმა 20 იანვრიდან გამოაცხადეს რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვების ერთთვიური, სამამულო ომის დღეებში აქ შემოიტანეს 15 რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც ქარხანას 56.319 მანეთის ეკონომიას აძლევენ. რაციონალიზატორთა შორის არიან კომკავშირელები. ზეინკალმა—კომკავშირელმა ამხ. ო. ბაღოშვილმა ორთქლმავლის ცილინდრების რემონტისას სპილენძის ნაცვლად თუჯი გამოიყენა, ამით დაიზოგა ფერადი ლითონი და ხუთჯერ გაიზარდა ცილინდრის გაძლეობა. ამხ. ბაღოშვილის წინადადების გატარებამ 7.728 მანეთის ეკონომია მისცა ქარხანას.

კომკავშირელებმა ამხ. იოსია ალიმბარაშვილმა, ნინო შეკარდანაძემ, თინა ბაქრაძემ და სხვებმა იკისრეს ბამაკაცის პროფესიების შესწავლა. ისინი უკვე შეუდგნენ ამ საქმეს და წარმატებით სწავლობენ საზეინკლო-სახარატო საქმეს, რათა ფრონტზე წასული მამაკაცები შესცვალონ.

ქარხნის კომკავშირელებმა ერთი კარგი ინიციატივაც გამოიჩინეს. მათ სამანქანოსატრაქტორო სადგურებისათვის ნახმარი იარაღების შეგროვება დაიწყეს. ბაშკირეთის მტს-ს უკვე გაუგზავნეს ქლიბები, გასაღებები, ხერხები და სხვ.

სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივი სიტყვას იძლევა კიდევ უფრო მაღალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნოს ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის XXIV წლისთავი.

## წარმატებით ეხვდებით წითელი არმიის XXIV წლისთავს

გმირი წითელი არმიის XXIV წლისთავთან დაკავშირებით წითელწყაროს რაიონის ჭრომელებმა განსაკუთრებით გაძლიერეს ბრძოლა მიმდინარე სამუშაოთა წარმატებით შესასრულებლად. რაიონში წელს მარტო ბაზაფიფულზე დაითესება 3.000 ჰექტარით მეტი ფართობი, ვიდრე შარშან. ამავე დროს დაითესა. კერძოდ, თავდაცვის ფონდისათვის ბაზაფიფულზე გათვალისწინებულია 200 ჰექტარის დათესვა.

თესვის წარმატებით ჩასატარებლად წითელწყაროს მტს-მა შეაკეთა 47 ტრაქტორი, დარჩენილი 2 ტრაქტორის შეკეთებაც ამ დღეებში დამთავრდება. დამთავრებულია აგრეთვე მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთება. როგორც მტს-ში, ისე კოლმეურნეობებში. საკმარისი რაოდენობით მომზადებულია თესლი, ხოლო მუშა-პიროტყვი გადაკვანილია გაძლიერებულ კვებაზე. ამავე დროს წითელწყაროს მტს-მა მოამზადა 48 ტრაქტორისტი და კომბაინერი, დამატებით მზადდება 30 კაცი. გარდა ამისა. აგროტექნიკურ წრეში მეცადინეობა გაიარა 50 მუშა-მოსამსახურემ და 80 მოსწავლემ.

საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის წითელწყაროს რაიონს სოციალიბრძოლაში გამოწეული ჰყავს სიღნაღის რაიონი, წითელწყაროს მტს-ს კი—შირაქის მტს-ი.

**გრ. კოვზირიძე**
წითელწყაროს მტს-ის უფროსი აგრონომი.

## სანიმუშოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის

### შევაგროვოთ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები

**(ხაუბარი ტელეფონით

# სამამულო ომის ფრონტებზე

## ფაშისტოფობა საბრძოლო შეჯიბრება

**კალინინის ფრონტი,** 10 თებერვალი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ფრონტის ქვეითებს, მფრინავებს, ტანკისტებს და არტილერისტებს შორის წითელი არმიის 24 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაშლილ საბრძოლო სოციალისტურ შეჯიბრებას ყოველ დღე მოაქვს ახალ-ახალი გამარჯვება მტერზე.

არასრული ცნობებით, მარტო 5-შენაერთმა სამი დღის ბრძოლაში 1.700-მდე ფაშისტი გაჟლიტა. ერთ-ერთი ქვეგანაყოფის არტილერისტებმა თავისი ქვემეხების მარჯვე ცეცხლით მოსპეს მტრის 13 დაზგის ტყვიამფრქვევი, დაანგრიეს ორი მიწური საცეცხლე წერტილი და ორ ოცეულამდე ქვეითი ჯარი გაუჟლიტეს მტერს. არტილერისტებმა მოსპეს მტრის საცეცხლე წერტილები და ქვეითებს საშუალება მისცეს წარმატებით შეესრულებინათ საბრძოლო ამოცანა.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს გერმანელები გარსშემოერტყნენ № ნაწილის მეტყვიამფრქვევე სატეევს და ცდილობდნენ მის ტყვედ ჩაგდებას. მამაცი მეტყვიამფრქვევე არ შემდრკალა. მან 30 მეტრზე მოუშვა ფაშისტები და გრიგალისებრი ცეცხლი დაუშინა. გერმანელებმა თავისი ჯარისკაცების 12 გვამი დასტოვეს და უკუიქცნენ.

მამაცურად იბრძოდა ერთ-ერთი სოფლისათვის ოცეული, რომელსაც ბოგლაშოვი მეთაურობდა. ამ ბრძოლაში 130 გერმანელი ჯარისკაცი მოსპეს.

წითელი არმიის მოახლოებულ XXIV წლისთავს ახალი საგმირო საქმეებით აღნიშნავენ იმ ქვეგანაყოფის მეტყვიამფრქვეველნი, სადაც სამხედრო კომისრად არის რიბაკოვი. სოფელ ბ-ზე შეტევისას მეტყვიამფრქვეველნი არ მოშორებიან მსროლელთ და მათს მოქმედებას მძლავრი ცეცხლით ეხმარებოდნენ, ხოლო როდესაც მოწინააღმდეგის თავდაცვა გარღვეულ იქნა, სოფელში პირველი შეიჭრა უფროს სერჟანტ ბირიუკის ტყვიამფრქვევის გუნდი. ამაზე ცოტა ადრე დაიჭრა მეტყვიამფრქვევე ოცეულის მეთაური. ბირიუკმა იკისრა ოცეულის მეთაურობა და გერმანელთა 6 გაფთრებული კონტრიერიში მოიგერია. ამ დღეს ბირიუკის ოცეულმა ოცეულზე მეტი ჰიტლერელი მოსპო და ტყვედ ჩაიგდო 5 ფაშისტი. ბრძოლაში განსაკუთრებული თავდადება გამოიჩინა მეტყვიამფრქვეველ ხოხლოვმა: იგი სამჯერ დაიჭრა, მაგრამ თავისი საბრძოლო პოსტი არ მიუტოვებია და განაგრძობდა მტრის მუსრვას.

განთავისუფლებული სოფლებისა და დაბების მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან თავიანთ განმათავისუფლებელ წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს. ისინი ცრემლმორეულნი უამბობენ მათ ფაშისტთა მხეცობის შესახებ. სოფელ ბოლშოი ოსტროვის მცხოვრებლებმა გვიამბეს, რომ 14 დეკემბერს გერმანელებმა თავი მოუყარეს სოფლის ყველა მოქალაქეს და გამოუცხადეს საარდლობის ბრძანება, რომელშიც მოსახლეობას, ბრალად სდებდნენ, რომ მათს მინდორში პარტიზანთა ნაღმებმა 4 მანქანა ააფეთქეს სურსათიანთ. პარტიზანთა მოქმედების სამაგიეროდ ფაშისტებმა გადასწყვიტეს დაეწვათ ყველა სოფელი 25 კილომეტრ რადიუსში, ხოლო მამრობითი მოსახლეობა 15-დან 50 წლამდე მოესპოთ. ასეც მოიქცნენ. ჰიტლერელებმა დასწვეს 11 სოფელი და მხეცურად აწამეს 100 მამაკაცი და მოზარდი. 16 წლის ვასო გრიგორიევს მარტო მკერდზე ჰქონდა 27 ნატყვიარი. მაგრამ ამ მხეცობამ ვერ შეარყია საბჭოთა მოქალაქეების საბრძოლო სულისკვეთება. ისინი დარწმუნებული იყვნენ საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში. სიკვდილით დასასჯელად რომ მიჰყავდათ, მოხუცმა კოლმეურნემ ივანოვმა ამაყად ასწია თავი და განაცხადა:

— მე სამშობლოსათვის ვკვდები. ჩვენი გულისთვის სამაგირო მიეზღვით წყეულ ფაშისტებს!

**ფ. კორიავიჩევი.**

## სახალხო შურისმგებლები

ყირიმში ამასწინათ მომხდარი ერთერთი ბრძოლის დროს, — ნათქვამია № წითელარმიულ გაზეთში, — მოკლულ გერმანელ ეფრეიტორს ულრიხ გროსს აღმოაჩნდა წერილი, რომელიც მას მშობლებისათვის უნდა გაეგზავნა.

„გუშინ მონაწილეობა მივიღე პარტიზანების წინააღმდეგ ლაშქრობაში. თქვენ კარგად ვერც კი გაიგებთ, რას ნიშნავს ეს. ეს არის სამოქალაქო მოსახლეობა, რომელსაც სამხედრო ფორმა არ აცვია და რომელიც მთებში იმალება. ღმერთმა ნურასოდეს ნუ შეგაბეზღროთ მათთან. ისინი მეტისმეტად მოხერხებულები არიან და ჯოჯოხეთური სიმამაცით მოქმედებენ.

აქ არის უღელტეხილი №, ისეთივე როგორც ალპები. გუშინ იქ ავდით. არც ერთ პარტიზანს არ შეეხვედრივართ, თუმცა ზუსტად არის ცნობილი, რომ მთებში 4-5 ათასი პარტიზანია, რომლებიც თავს ესხმიან ჩვენს ტრანსპორტს. ისინი ხოცავენ ჩვენს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. მათი გადამკიდე ხშირად საშმელსა და საომარ მასალას მოკლებული ვრჩებით ხოლმე.

გამოქვაბულში მათ დამალული აქვთ საშმელი, სამხედრო საჭურველი, — ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი დასჭირდებათ.

გერმანიის ორმა დივიზიამ გადაჩხრიკა ტყე და უღელტეხილი, მაგრამ ისევე, როგორც წინათ, ვერც ერთი ბოლშევიკი, ვერც ერთი პარტიზანი ვერ შეიპყრო. მაგრამ დაიმდა თუ არა, ყოველი მხრიდან მოისმა სროლა, ჩვენს ბედკრულ თავებზე საიდანლაც მოცვივოდა მძიმე ქვები. ჩვენ 40 კაცი მოგვიკლეს და ძლივს გამოვაღწიეთ თავი. ყველანი ვფიქრობთ, რომ ამ წყეული პარტიზანების შეპყრობა შეუძლებელია“.

ამ დოკუმენტს განსაკუთრებული ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება. ფაშისტმა ეფრეიტორმა გამოსთქვა ის, რასაც ფიქრობს და თავის მახლობლებს სწერს ყველა გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ყირიმელი პარტიზანები გმირულად იბრძვიან თავისი მშობლიური ნახევარკუნძულის გასათავისუფლებლად გერმანელ დამპყრობთაგან.

სულ სხვადასხვა პროფესიების ხალხი — მეშადურები და მეშალეები, კოლმეურნეები და რკინიგზელები, საბჭოთა მოსამსახურეები და მეცნიერი შუშაკები, მოზრდილები და მოზარდები—ყველანი გაერთიანებული არიან მძაფრი სიძულვილით ფაშისტ ოკუპანტებისადმი, რომლებმაც ხელჰყვეს საბჭოთა ადამიანების თავისუფლება, სიცოცხლე და ბედნიერება. მათ გულს სწყურია შურისძიება ყირიმის დანგრეული ქალაქებისა და სოფლებისათვის, პატივახდილი ცოლებისა, დებისა და ქალიშვილებისათვის, ნაწამები მშობლებისა და შვილებისათვის.

ისინი ერთ წუთ მოსვენებას არ აძლევენ გერმანელ დამპყრობთ, ოავს ესხმიან მათ შტაბებს, საწყობებს, ტრანსპორტს ლიანდაგიდან აგდებენ მატარებლებს, აფეთქებენ ხიდებს, ნაღმავენ გზებს, ძლეტენ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ისინი ჩნდებიან იქ, სადაც მათ ყველაზე ნაკლებად მოელის მტერი, და თავიანთი უეცარი თავდასხმებითა და მოუხელებლობით თავზარს სცემენ ფაშისტებს.

განსაკუთრებით მძიმე და სახიფათო ბრძოლას ეწეოდნენ გერმანელებთან ქერჩელი პარტიზანები მაშინ, როცა მათი შშობლიური ქალაქი გერმანელ დამპყრობლებს ეჭირათ.

ისინი წავიდნენ ქალაქის მახლობლად მდებარე ქვის სამტეხლოში, რომ იქიდან დასხმოდნენ ხოლმე თავს ფაშისტებს და მათ ტრანსპორტებს. მაგრამ მათი მოქმედება პირველივე დღიდან გაარღვია იმან, რომ გამოჩნდა მოღალატე, რომელმაც გერმანელებს აცნობა მათი ადგილსამყოფელი. გერმანელები გარს შემოერტყნენ ქვის სამტეხლოს, იქ თავი მოუყარეს 2 ათასამდე ჯარისკაცს და განუწყვეტლივ უთვალთვალებდნენ ყველა შესასვლელსა და გამოსასვლელს.

ერთ თვეზე მეტს პარტიზანები ნესტიან და ბნელ ქვის სამტეხლოში იმყოფებოდნენ, და მიუხედავად ყველა საფრთხისა, მაინც ახერხებდნენ იქიდან გამოსვლას, თავს ესხმოდნენ მტერს და უსპობდნენ მას ცოცხალ ძალსა და ტექნიკას.

არა ერთი ასეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაუჟლეტიათ, ფაშისტთა ყაჩაღური არმიის ცოტა იარაღი და საომარი მასალა როდი მოუსპიათ ამ სახალხო შურისმგებლებს, რომლებსაც გერმანელები ქვის სამტეხლოში ცოცხლივ დამარხულებად სთვლიდნენ.

განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენეს პარტიზანებმა ფაშისტ ბარბაროსებს, როცა ეს უკანასკნელები ქერჩიდან იხევდნენ უკან. ხოლო როდესაც ქალაქში კვლავ აფრიალდა წითელი დროშა, პარტიზანები პირველნი შეუდგნენ ფაშისტების მიერ დანგრეული ქერჩის მეურნეობის აღდგენას, დადგნენ მის უმნიშვნელოვანეს უბნებზე, სათავეში ჩაუდგნენ ქალაქის მოსახლეობას და დაუფალავად შრომობენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და ბედნიერების აღსადგენად, რაც გერმანელების მიერ იყო დანგრეული.

**უფროსი პოლიტხელი კ. ზოტინი**
**ი. დუგინსკი**

## პარტიზანთა კომისარი

ჩვენ შეშფოთებით შევხედით ერთმანეთს ჩვენი ნაწილის პატარა შენობაში. საშუალტანის, ჩასკვნილი, მარცხენა მხარზე ავტომატგადაკიდებული, ის შემოვიდა და ძველი ნაცნობივით ყველას მოგვესალმა, მაგრამ ჩამოგვართვა ხელი. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ.

— რა არის დღეს ახალი?—იკითხა ერთ-ერთმა მეთაურმა.

— ერთი შეკვრა დოკუმენტები მოვიტანეთ. მათ შორის მნიშვნელოვანიც არის.

— როგორ იშოვნეთ?

— პარტიზანული თავდასხმით.

და ყირიმში, გერმანელთა ჯარების ზურგში. მოქმედი ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის კომისარმა მოკლედ გვიამბო თავისი რაზმის გაბედულ ოპერაციაზე. ამ რაზმს ღამით გაუნადგურებია ბატალიონი გერმანელთა ჯარი.

პარტიზანები განთიადისას სამი მხრიდან შეიჭრნენ დაბაში. ღამის განმავლობაში სიცივისგან ატანილი გუშაგები ცვლას ელოდნენ, მაზარებში ეხვეოდნენ, რომ თავი დაეცვათ მთებიდან მონაბერი სუსხისაგან. მაგრამ ამ დილას მათ სამუდამოდ დაიძინეს მათთვის უცხო ყირიმის მიწაზე. ისინი უხმაუროდ მოსპეს რაზმის საუკეთესო მზვერავებმა — კომკავშირელებმა ივანე ს-მ, გრიგოლ კ-მ და სიმონ ხ-მ. რაზმის ერთერთი ჯგუფი თავს დაესხა შტაბს, რომელიც პარტიის რაიკომის შენობაში იყო მოთავსებული, ორი სხვა ჯგუფი ეკვეთა სახლებს, რომლებიც ჰიტლერელი არამზადების ყაზარმებად გადაეცქცია.

პარტიზანთა კომისარი ნიამოვნებით ეწყვეა პაპიროსს და ამთავრებს ამბავს.

— ყველანი გავწყვიტეთ. დოკუმენტები წამოვიღეთ. ისეთე სწრაფად გავქრით, როგორც გამოვჩნდით — მთებში წავედით. კარგი მთებია ყირიმში...

სიჩუმე ჩამოვარდა. ღუმილი კომისარმა დაარღვია.

— მე ხომ მთებში ვარ გაზრდილი. ბავშვობიდანვე მივეჩვიე.

— თქვენ საიდან ხართ?—ჰკითხა ერთერომა.

— საქართველოდან. კარგი ადგილებია.

და კომისარმა გვიამბო თავის თავზე. ეს იყო ამხანაგი ჭ., დიდი სამამულო ომის დაწყებამდე იგი ყირიმის ერთ-ერთ რაიონში მუშაობდა პარტიის რაიკომის მეორე მდივნად. გერმანელების მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ იგი პარტიზანული რაზმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მისი მებრძოლი კომისარია, რაზმის მეთაურია მაღალი, ტანადი უკრაინელი აგრონომი.

ერთ-ერთმა მეთაურმა სთქვა, ჩვენს შორის არის კაცი, რომელიც საქართველოდან ახალი ჩამოსულიაო. ჭ-ს თვალები გაუბრწყინდა.

— არ ხუმრობ?—სთქვა მან.—არა მჯერა. სამი წელიწადია თვითონ აღარ ვყოფილვარ და არა მჯერა. მიამბე, რა მდგომარეობაა იქ?

მე ვუამბე, რომ კარგი მდგომარეობაა. შეესანიშნავი ადამიანები არიან, კარგი ამხანაგები. ცხოვრობენ ერთი ფეჩქრით, მთელი საბჭოთა ხალხის საერთო იმედებით — გავანადგუროთ გერმანელი ოკუპანტები.

— საქართველოდან ახალი ჩამოსული ვარ.

— არა მჯერა! რით დამიმტკიცებ?—მკითხა ჭ-მ.

მე ერთ ჯიბეში ვიპოვე გაზეთ „კომუნისტის“ ნახევარი ფურცელი. ნახევარი იმიტომ, რომ იქ დაბეჭდილია ჩემი ლექსი. გავდევეცი გაზეთის ფურცელი პარტიზანთა კომისარს. შემთხვევით ჯიბეში აღმოჩაჩნდა წიგნი სამამულო ომის ქართველ გმირებზე, აგრეთვე „რეკორდის“ პაპიროსის კოლოფი. პაპიროსი მოეწონე, კოლოფი კი დავიტოვე. ყველა ეს საჩუქრები ამხ. ჭ-ს გადავეცი. იგი პირადად იცნობს საქართველოს ბევრ საბჭოთა და პარტიულ მუშაკს.

მხოლოდ ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, გაიგებს, თუ როგორ გაახარა პარტიზანთა მებრძოლი კომისარი სამშობლო მხარის აპბებმა. მას ბედნიერი ღიმილით გაუბრწყინდა სახე. გამოთხოვებისას მაგრად ჩამომართვა ხელი და აღელვებით მითხრა:

— როცა საქართველოში იქნები, მოიკითხე ყველა, გადაეცი ჩემი მგზნებარე სალამი! — და სწრაფად გავიდა.

უკვე კარებში ჭ. მობრუნდა და მითხრა:

— გადაეცი, რომ ჩვენ აქ ბევრნი ვართ. ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს ყირიმის მთებში, რომ დავუკრავთ მათ საქართველოს მთებში წასვლის ხალისი. გამარჯვებით!

ჩვენ დავშორდით ერთმანეთს როგორც მეგობრები.

**კაპიტან-ლეიტენანტი პ. სიმონოვი**

ყირიმი, 1942 წ. იანვარი.

## სამედიცინო დახმარება განთავისუფლებულ რაიონებს

**ლენინგრადი,** 10 თებერვალი (საკუთარი). გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულს ლენინგრადის ოლქის ქალაქებსა და სოფლებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ფაშისტი ბარბაროსების მიერ დანგრეული საავადმყოფოების, ამბულატორიების, საბავშვო ბაგების აღდგენა, ეწყობა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა.

ტიხვინში საავადმყოფო დროებით მოთავსებულია ერთ-ერთ გადარჩენილ შენობაში. საავადმყოფოს ორი განყოფილება უკვე მუშაობს. გაიხსნა ამბულატორია და აფთიაქი. უახლოეს ხანში უნდა დამთავრდეს ქალაქის საავადმყოფოს აღდგენა. ეწყობა საბავშვო ბაგა.

სამედიცინო დაწესებულებები გაიხსნა კირიშის, ვოლხოვის და მალაია ვიშერის რაიონებში.

ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილება კვალიფიციურ სპეციალისტებს ჰგზავნის განთავისუფლებულ რაიონებში. 20 ექიმი უკვე გაემგზავრა ადგილებზე.

# ირანის პრესა მიესალმება მოკავშირეობის ხელშეკრულების დადებას

**თეირანი,** 10 თებერვალი (საკუთარი). თეირანის პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირანის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადებას. ყველა გაზეთმა დაბეჭდა „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მოწინავე წერილები ამ ხელშეკრულების შესახებ.

### ოკუპანტების პარაპაში ბალკანელებში

**სტოკჰოლმი,** 10 თებერვალი (საკუთარი). გერმანულ გაზეთ „დოიჩე �აიტუნგ ინ ოსტლანდში“ ზოგიერთი ცნობა აშკარავებს გერმანელთა მიერ ოკუპირებული საბჭოთა ბალტიისპირა რესპუბლიკების მდგომარეობას, რომლებიც დამპყრობლებმა სილატაკისა და გაპარტახების უკიდურეს ზომამდე მიიყვანეს. მაგალითად, გაზეთი იუწყება, რომ ტალინის მოსახლეობას ფეხსაცმელი ელევა. ქალაქში გათბობის საქმე არაჩვეულებრივად ცუდადაა. მახლობელი ტყეებიდან შეშის მოსატანად ტრანსპორტი არ მოეპოვებათ. გლეხთა ცხენები გერმანიის არმიისათვის გაიწვიეს. რადგან სურსათი თითქმის სრულიად არ იშოვნება, ქალაქში თავშეუყვეველი სპეკულაცია მძვინვარებს. გაზეთი აქეზებს იმ სპეკულანტების გრძელ სიებს, რომლებიც საარაკო ფასად ჰყიდდნენ პურს, რძეს და სხვა სურსათს, ამავე დროს ოკუპანტები განაგრძობენ დარჩენილი სურსათის გაზიდვას ბალტიისპირეთიდან. საოკუპაციო ხელისუფალთა ბრძანებით, რიგისა და მისი გარეუბნების ყველა მცხოვრებნი მოვალენი არიან გერმანელთა ხელისუფლებას ჩაბარონ შინაური ფრინველი.

### ჰიტლერელებმა ამოსაწყვეტად გასწირეს შრანგი ხალხი

**ანკარა,** 10 თებერვალი (საკუთარი). გაზეთი „ბუგიუნი“ ასწერს საფრანგეთის მოსახლეობის ტრაგიკულ მდგომარეობას ჰიტლერელ ოკუპანტთა უღელ ქვეშ და აღნიშნავს ფრანგი ხალხის სიკვდილიანობის უზარმაზარ ზრდას გერმანელთა პარაპაშისა და მათ მიერ მოსახლეობის ძარცვის შედეგად. გაზეთის განცხადებით, „1940 წელს გარდაცვლილთა რიცხვი დაბადებულთა რიცხვს აღემატება 199.963 კაცით, 1939 წელთან შედარებით, სიკვდილიანობამ 19 პროცენტით იმატა. ეს დიდი სიკვდილიანობა შედეგია საფრანგეთში ამჟამად გამეფებული სილატაკისა, დაავადებათა და შიმშილისა. მომავალ თაობას პირდაპირი საფრთხე ემუქრება. ქორწინების რიცხვი 32 პროცენტით შემცირდა, შობადობისა—9 პროცენტით, ხოლო ბავშვთა შორის სიკვდილიანობამ 45 პროცენტით იმატა“.

დასასრულ გაზეთი სწერს, ევროპის სხვა ქვეყნების მდგომარეობა საფრანგეთის მდგომარეობას როდი სჯობსო.

### ეპიდემიების გავრცელება საფრანგეთსა და ბელგიაში

**ლონდონი,** 9 თებერვალი (საკუთარი). ინგლისური პრესა იუწყება, რომ ბელგიისა და საფრანგეთში ამ უკანასკნელ ხანს ეპიდემიური დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა ერთ-ორად და უფრო მეტად გაიზარდა. საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით კი ელზასსა და ლორენში, სადაც ოკუპანტებისადმი მტრულად განწყობილი მოსახლეობა ჰიტლერელთა მიერ არსებობის საშინელ პირობებშია ჩაყენებული, მუცლის ტიფით დაავადების მრავალი შემთხვევაა. კიდევ უფრო სწრაფად ვრცელდება პარატიტიანი ტიფის ეპიდემია, განსაკუთრებით მიულუზსა, სტრასბურგსა და სხვა რაინისპირა ქალაქებში, აგრეთვე ლილსა და ბრიუსელში. ტიფი შემოაქვთ გერმანიიდან, საიდანაც იგი, თავის მხრივ, ფრონტიდან ჩამოიტანეს. ფრანგი ხელისუფალნი ცდილობენ სასტიკი საიდუმლოებით დაიცვან ტიფის გავრცელება, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ტიფით ავადმყოფთათვის უკვე სპეციალურად გამოყოფილია საავადმყოფოები პარიზში, ლიონში და მთელ რიგ სხვა დიდ ქალაქებში. საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ოფიციალური ცნობებით, შიმშილის შედეგად საფრანგეთში, განსაკუთრებით მუშა მოსახლეობაში, სურავადი ვრცელდება და მძაფრად იზრდება ტუბერკულოზითა და სხვა ავადმყოფობით დაავადების რაოდენობა. მოსახლეობის ფიზიკური დაუძლურების გამო ყველა ამ ავადმყოფობით გამოწვეული სიკვდილიანობის პროცენტი ძალიან დიდია.

### ჰიტლერის უნგრელი ლაქია შეშფოთებულია

**ჟენევა,** 10 თებერვალი (საკუთარი). ადგილობრივ უურნალისტთა წრეებმა ყურადღება მიაქციეს ამ დღეებში ბუდაპეშტში უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ბარდოშის მიერ წარმოთქმული სიტყვის შეშფოთებულ ხასიათს. ბარდოშმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა წინაშე, განაცხადა, რომ ახლა ყოველ უნგრელს მოეთხოვება უდიდესი მსხვერპლი „სამშობლოს გადასარჩენად“. ბარდოშმა ისტერიულად მოუწოდა დაეხმარონ ფრონტს და ყოველგვარი სასჯელით იმუქრებოდა „საშინაო წესრიგის“ დარღვევისათვის.

### გერმანიაში მაღაზიები დახურულია კვირაში 3 დღეს

**სტოკჰოლმი,** 10 თებერვალი (საკუთარი). როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ ციატუნგი“ იუწყება, გერმანიის არცერთი მაღაზია, გარდა აფთიაქებისა, არ იმუშავებს კვირაობით, ორშაბათობითა და სამშაბათობით. დანარჩენ დღეებში მაღაზიები დილის 10 საათიდან გაიღება.

### ჰიტლერის ახალი ძაღლობა ვიშის მთავრობისადმი

**ლონდონი,** 10 თებერვალი (საკუთარი). გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, ადმირალი რედერი 3 საათს ესაუბრა დარლანს. შეხვედრა მოხდა საფრანგეთის პატარა პროვინციულ ქალაქში, როცა რედერი საინსპექციოდ დადიოდა გერმანიის საავიაციო და საზღვაო ბაზებში საფრანგეთის სანაპიროზე. რედერი ცდილობდა არა მარტო იმას, რომ გერმანიას მიენიჭოს საფრანგეთის ფლოტის გამოყენების უფლება, არამედ იმასაც, რომ სრულიად გადაეცეს გერმანიას საფრანგეთის ნავსადგურები და საავიაციო ბაზები ჩრდილოეთ-აფრიკაში.

### ხანძარი საფრანგეთის გემ „ნორმანდიაზე“

**ნიუ-იორკი,** 10 თებერვალი (საკუთარი). პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის დიდ საოკეანო გემ „ნორმანდიაზე“, რომელიც ნიუიორკის ნავსადგურში იდგა, ხანძარი გაჩნდა. გამოიძახეს მეხანძრენი, რომლებმაც, ძლიერი ქარის მიუხედავად, ხანძარი შეაჩერეს. გემ „ნორმანდიას“ 83 ათასი ტონა წყალწყვა აქვს. შარშან დეკემბერში ა. შ. შტატების მთავრობამ მოახდინა ამ გემის კონფისკაცია საფრანგეთის სხვა 13 სავაჭრო გემთან ერთად.

### ჰიტლერელთა პროვოკაციები ბელგიაში

**ლონდონი,** 10 თებერვალი (საკუთარი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 7 ოებერვალს ჰიტლერის აგენტებმა პროვოკაციული ანტიინგლისური გამოსვლები მოაწყეს ტანჟერში. ჰიტლერელთა მიერ მოსყიდულმა პირებმა დააზიანეს ინგლისის ფოსტამტის და ინგლისელთა რამდენიმე მაღაზიის შენობები. ამ დღეებში ღერძის სახელმწიფოთა აგენტურამ კიდევ ერთი პროვოკაცია მოაწყო ტანჟერში. ინგლისის დიპლომატიური კურიერისათვის, რომელიც გიბრალტარიდან ტანჟერში ჩავიდა, ჩემოდანში ჩაიდო ბომბი, რომლის აფეთქებას ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა.

ინგლისის გენერალურმა კონსულმა ტანჟერში მტკიცე პროტესტი განუცხადა ესპანეთის ტანჟერის ჯარების სარდალს ღერძის სახელმწიფოთა მიერ ინსპირირებული ანტი-ინგლისური გამოსვლების გამო. ლონდონში აცხადებენ, რომ, ალბათ, ესპანეთის მთავრობის ყურადღება მიექცევა ღერძის სახელმწიფოთა აგენტების ამ მცდელობას განხეთქილება ჩამოაგდონ ინგლისსა და ესპანეთს შორის.

### რიო-დე-ჟანეიროში გაჩხრიკეს გერმანიის საელჩო

**ნიუ-იორკი,** 10 თებერვალი (საკუთარი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ბრაზილიის პოლიციამ გაჩხრიკა გერმანიის საელჩოს შენობა. აღმოაჩინეს და ხელში ჩაიგდეს მძლავრი მოკლეტალღიანი რადიოგადამცემი.

### საზამთრო ნივთების ჩამორთმევის ჟენევა,

8 თებერვალი (საკუთარი). პრაღის რადიომ გადასცა „პროტექტორატ ჩეხიისა და მორავიის“ პოლიციის უფროსის, გენერალ როიტერის განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს გერმანიის არმიის მოსამარაგებლად მოსახლეობისთვის საზამთრო ნივთების ჩამორთმევა. განცხადებაში ნათქვამია, რომ „ეკამანია არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს“. პოლიციის უფროსი მოსახლეობას ბრალად სდებს „საეჭვო აქტივობის გამოუჩენლობას“ და მუქარით მოგონებს ოლიცია, რომ ასეთ „ეჭვიანობის“ ფასად ეკანონებოდა ეს ეკონომია. ეს ეკონომია ეფუძნებოდა ბინის ნაწილის ჩამორთმევას, ბინის ნაწილის ბინადრებისგან ცარიელ ოთახებად გადაქცევას, ბინადრებისა, ვინც ბინას ინაწილებენ, ბინის ნაწილის ბინადრებისგან ბინის ნაწილის ბინადრ